დანართი №2

შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

ნინო გორგოშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 24562481

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის №1704831 (ცვლილება №1820832 22.12.2025, ცვლილება №19952 14.01.2026) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი"დამატების ფარგლებში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 17 იანვარს განხორციელდა ვიზიტი შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრი ეკვატორში, მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №33, 35; ბათუმგორის ჩიხი №2.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დამფუძნებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკის, მატერიალური რესურსებისა და პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება.

ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემული იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია:

პროგრამის ხელმძღვანელის „სამუშაო აღწერილობა" განსაზღვრავს მისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ: უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილების ან 1-წლიანი პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ანალოგიურია პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის დადგენილი მოთხოვნებისა.

სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვისა და დაკორექტირების შესაძლებლობა, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციური დატვირთვისა და პასუხისმგებლობების მოცულობის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია მოითხოვს უფრო ფართო მართვით, საკოორდინაციო და ხარისხთან დაკავშირებულ კომპეტენციებს, ვიდრე პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - შეფასდა შესაბამისად. თუმცა, გაცემული იქნა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია:

დაწესებულებაში წარმოდგენილია პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული „რიდერები", რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად. სასურველია, აღნიშნული სასწავლო მასალების შემუშავება და განახლება განხორციელდეს სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი იქნებიან პროგრამის ხელმძღვანელი და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს „რიდერების" შინაარსის სისტემატურ გადახედვას, დარგში მიმდინარე ცვლილებების დროულ ასახვას და სასწავლო მასალების პრაქტიკულ მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობას, რაც პოზიტიურად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფს გამოეგზავნა საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის №00000998 წერილი, რომლითაც დასტურდება დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის გაცნობა და ექსპერტთა შეფასებაზე თანხმობა

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	24.10.2025 N20388
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი, შავშეთის ქ. N 33,35, ქ.ბათუმი ბათუმგორის ჩიხი N 2,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი – მოტორისტი“ განხორციელების მიზანშეწონილობა ეფუძნება მთელ რიგ არსებით ფაქტორებს, მათ შორის პროგრამის კონცეპტუალურ შესაბამისობას, რესურსების საკმარისობას, ეკონომიკურ ეფექტიანობას, სამართლებრივ შესაბამისობასა და ოპერაციულ მდგრადობას. აღნიშნული მიმართულებებით პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც ქმნის მისი სტაბილური და უწყვეტი განხორციელების რეალურ წინაპირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დასაბუთება ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას სსსც ეკვატორის მისიასთანა და სტრატეგიულ გეგმასთან, რომლის მიხედვითაც კოლეჯი საზოგადოებას სთავაზობს მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებულ და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებულ საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მომზადებას, აგრეთვე ხელს უწყობს სოციალური ინკლუზიის, პიროვნული და პროფესიული განვითარების და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშემწყობი გარემოს შექმნას.

პროგრამის მიზანშეწონილობას დამატებით განაპირობებს დაწესებულების გეოგრაფიული მდებარეობა. კოლეჯი ფუნქციონირებს ქ. ბათუმში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზღვაო, ეკონომიკურ და ლოგისტიკურ ცენტრს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კონტექსტუალურად შესაბამის, პრაქტიკაზე ორიენტირებულ და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ განხორციელებას. ამასთან, დაწესებულებას გააჩნია რელევანტური ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ასევე განვითარებული პარტნიორული ქსელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან რეალიზაციას.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 50% დასაქმებულია მიღებული პროფესიის შესაბამისად. სსსც „ეკვატორის“ სტრატეგიული მიზნები და მათგან გამომდინარე ამოცანები ქმნის პროგრამის სრულფასოვანი განხორციელების მყარ საფუძველს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შემუშავებული სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის მიზანმიმართულ, დაგეგმილ და თანმიმდევრულ წარმართვას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - შეფასდა შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი” (დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის №20388 ბრძანებით) დაშვების წინაპირობებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა;
2. ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა (ფორმა №086 ან №100), რომელიც დადგენილი წესით გაცემულია შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

აღნიშნული მოთხოვნა შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველთან, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია; (Ship Engine Room Operation.)

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის №01 ბრძანებით (ცვლილება: 29.09.2025 წლის №04 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტით – **„შპს „საზღვაო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“**.

აღნიშნული წესი სრულად არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის: პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს; აპლიკანტთა რეგისტრაციისა და შერჩევის წესებს; გასაუბრებაში და/ან ტესტირებაში მონაწილეობის პირობებს; აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და მობილობის წესებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 20 დეკემბრის №04/ა ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2025 წლის 18 ივნისის №9468 ბრძანება) დოკუმენტი – **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“**, რომლის 23-ე მუხლი – **„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა“** არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის დადგენის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. **სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს**, კერძოდ:
   ა) A ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
   ბ) B ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
   გ) C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას;
2. **პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას**, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან და უსაფრთხო განხორციელებას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სასწავლო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების შესაბამისობას და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოთხოვნებს.

კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საფუძველზე**.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და მოიცავს კომპიუტერებს, პრინტერს, სასწავლო მერხებს, სკამებსა და პროექტორს.

C ტიპის სასწავლო გარემო გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად და აღჭურვილია მოდულებში განსაზღვრული შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით.

დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებისთვის ერთი და იმავე სასწავლო სივრცის გამოყენება, თუ ეს თავსებადია ტექნიკურ ნორმებთან და ცვლად მუშაობის რეჟიმთან (არაუმეტეს ორი ცვლისა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხორციელდება ღია სივრცეში ან პრაქტიკის ობიექტზე, დოკუმენტით განსაზღვრულია შემდეგი:
– A ტიპის სასწავლო გარემო ერთ ცვლაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას ერთ ცვლაში გამოიყენოს სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ოთხმაგი რაოდენობა;
– B ტიპის სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს წლიური 60 კრედიტიდან, რაც შეადგენს დაახლოებით 5%-იან დატვირთვას. შესაბამისად, B ტიპის სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში დასაშვებია სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში – ორმოცმაგი რაოდენობა.

პროფესიულ სტუდენტთა **საბოლოო ზღვრული რაოდენობა** განისაზღვრება A და B ტიპის სასწავლო გარემოს გათვლების შედეგად მიღებულ რაოდენობათა შორის **უმცირესი მაჩვენებლის საფუძველზე**, ხოლო ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დამატებით გათვალისწინებულია C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ან შესაბამისი ფართი.

ამასთან, კოლეჯი უზრუნველყოფს **მინიმუმ ერთ პროფესიულ მასწავლებელს ყოველ 20 პროფესიულ სტუდენტზე**, რაც ქმნის სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელების სათანადო პირობებს.

მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" იძლევა **140 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას**. აღნიშნული რაოდენობა დასაბუთებულია კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების ანალიზზე დაყრდნობით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - შეფასდა შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი **მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი** (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი” გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის.

დაწესებულებაში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - შეფასდა შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №10 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“.

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურები. დოკუმენტის თავი II – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, მუხლი 2 – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა“ ადგენს, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა “სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი” დამტკიცებულია 2025 წლის 24 ოქტომბრის №20388 ბრძანებით, დაწესებულების უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - შეფასდა შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია; (Ship Engine Room Operation.)" საფუძველზე.

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

9.1 გემის მექანიკური დანადგარების ექსპლუატაცია
9.2 ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, მართვის სისტემების, ტექნიკური მომსახურეობა და შეკეთება
9.3 გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა
9.4 სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
9.5 ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძართან ბრძოლა
9.7 გარემოს დაბინძურების პრევენცია
9.7 სამანქანე განყოფილებაში ვახტაში მონაწილეობა
9.8 სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - შეფასდა შესაბამისად.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შპს საზღვაო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია; Ship Engine Room Operation. (სარეგისტრაციო ნომერი 10.14.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პროგრამის მოცულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი დოკუმენტი, მათ შორის: მოდულები, სასწავლო გეგმა, ასევე ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო **ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე**.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი მოდულები, შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სრულად **ადაპტირებულია** და უზრუნველყოფს **თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტების** განხორციელებას, აგრეთვე **ქართული ენის მოდულს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევასა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2032;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N10 ბრძანებით დამტკიცებული „ პროგრამების დაგეგმვის,განხორციელების,შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის №01 ბრძანებით (ცვლილება: 29.09.2025 წლის №04 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტი – „შპს „საზღვაო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 20 დეკემბრის №04/ა ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2025 წლის 18 ივნისის №9468 ბრძანება) დოკუმენტი – „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა“;
- დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიურება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო და პრაქტიკული გარემოები:

1. **ორი A ტიპის სასწავლო გარემო**, მათ შორის:
   - პირველი A გარემო გათვლილია 38 პროფესიულ სტუდენტზე;
   - მეორე A გარემო — 21 პროფესიულ სტუდენტზე.
     ორივე გარემო აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერითა და ციფრული დემონსტრირების საშუალებებით.
2. **ორი A ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც საერთოა მეორე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის. აღნიშნული გარემოები თითოეული გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით (სტუდენტების მაგიდები და სკამები, დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ციფრული დემონსტრირების საშუალებები).
3. **ორი B ტიპის გარემო**, რომელთაგან: პირველი განკუთვნილია 20, ხოლო მეორე 10 პროფესიული სტუდენტებისათვის.
4. **ორი AC ტიპის გარემო**, აქედან პირველი გათვლილია 24, ხოლო მეორე — 7 პროფესიული სტუდენტისათვის.
5. **ერთი სამედიცინო კაბინეტი**, გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე.
6. **ერთი სახელოსნო** პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისთვის, რომელიც აღჭურვილია 12 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო ინვენტარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **ერთი საცურაო აუზი**, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას.
8. **„ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის გარემო“ (C ტიპის გარემო)**, რომელიც აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ორ პრაქტიკის ობიექტთან: სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ და შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან თითოეული ითვალისწინებს 280 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის გავლას.

შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას. ხუთდღიანი სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, ორ ცვლიან რეჟიმში, შესაძლებელი ხდება მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის - 140 პროფესიული სტუდენტის - ერთდროულად მომსახურება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი” განხორციელებაში ჩართულია 23 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის: 18 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 5 - ზოგადი მოდულების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებაში მოქმედებს სსსც ეკვატორის დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის 10413 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს კანდიდატის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებსა და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. კერძოდ, პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. 3 წლიანი სამუშაო გამოცდილების ან 1წლიანი პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თითოეულ მათგანს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი სამუშაო ან პედაგოგიური გამოცდილება. ამასთან, წარმოდგენილია კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, სსსც ეკვატორის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში იკვლევს პერსონალის საჭიროებებს და გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პერსონალის განვითარების ღონისძიებებს. პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები წლების მიხედვით წარმოდგენილია ტრენინგ-გეგმებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის №20388 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომლის მიხედვითაც პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, მასში ცვლილებების შეტანასა და სასწავლო გეგმის შედგენაში.

სამუშაო აღწერილობით ასევე განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. 3 წლიანი სამუშაო გამოცდილების ან 1 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო გეგმის შედგენასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - შეფასდა შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის №07 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება. დადგინდა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია** დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც **მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით**. მატერიალური რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ხოლო ელექტრონული რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებზე და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში.

ელექტრონული კატალოგი და სასწავლო რესურსები ასევე განთავსებულია დაწესებულების **ვებგვერდზე**. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს **საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას**, რაც ადასტურებს რესურსების ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. პროფესიული მასწავლებლების მიერ დამუშავებულია ე/წ **რიდერები**, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტქსელთან დაკავშირებული ოთხი კომპიუტერით მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერით ბიბლიოთეკარისთვის, აგრეთვე საოფისე კომბაინით (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამოყენების წესების გაცნობასა და მათ დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის №807 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, 21-ე მუხლი, განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას. ასევე, დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას, ინკლუზიური განათლების დანერგვის საკითხებს, სსსმ პირების ჩარიცხვის პირობებსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის წესს.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი, სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო გარემო, რაც ქმნის ინკლუზიური განათლების ეფექტიანი განხორციელების წინაპირობას.

თუმცა, მოდულში არსებული შენიშვნის გათვალისწინებით, მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი“** - რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 24 პროფესიულ სტუდენტს (1 ჯგუფი - 28 სტუდენტი). წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება.

ხარჯების ძირითად ნაწილს მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, პროგრამის განვითარების ხარჯები (მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ტრენინგები, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა), კომუნალური ხარჯები, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხარჯები, ნედლეული და მასალები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- დანართი 2 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- სსსც ეკვატორის დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის 10413 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 26 დეკემბრის №07 ბრძანებით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.
- სსსც „ეკვატორის“ დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის №807 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კოლეჯ „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის 2018 წლის 24 დეკემბრის №05/ა ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება - 2023 წლის 1 თებერვალი, №797) დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. დოკუმენტი მოიცავს I თავს - „კოლეჯის ძირითადი პროცესები“, ქვეპუნქტს „ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“.

დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- პროგრამების დაგეგმვა;
- ახალი პროგრამ(ებ)ის დამატება;
- პროგრამ(ებ)ში ცვლილებების შეტანა და პროგრამ(ებ)ის დამტკიცება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების ხარისხის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად;
- პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა.

დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების პროცესის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - შეფსდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსსც „ეკვატორის“ დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №10 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“.

დოკუმენტის შესაბამისად, სსსც ეკვატორში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგები ეფუძნება პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. აღნიშნული შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების ან ადაპტირების პროცესში.

დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცედურების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები ახორციელებენ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ხდება ცვლილებების განხორციელება როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ისე ინდივიდუალურ მოდულებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისისკოლეჯის დირექტორის N10 ბრძანებით დამტკიცებული შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროგრამების დაგეგმვის,განხორციელების,შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ დირექტორის 2018 წლის 24 დეკემბრის №05/ა ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება - 2023 წლის 1 თებერვალი, №797) დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“.
- გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" პაკეტს თან ერთვის სასწავლო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში მოდულები განთავსებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ხოლო კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია ისე, რომ შესაძლებელი იყოს განმეორებითი შეფასების განხორციელება. სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად-შეფასდა შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა გასაუბრების ფარგლებში მიუთითა, რომ დაწესებულება სწავლების ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს, მათ შორის სასწავლო ცხრილების შედგენის, ჯგუფების დაკომპლექტებისა და საკომუნიკაციო საშუალებების შერჩევის პროცესში.

დაწესებულებაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მეთოდოლოგია, ხოლო სასწავლო გეგმაში საჭიროებისამებრ ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. პროფესიული სტუდენტების აკადემიური წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - შეფასდა შესაბამისად.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად დაწესებულების A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, მათ შორის სიმულატორები, ტრენაჟორები, აუზები, სახელოსნოები და კომპიუტერული პროგრამები.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია „სწავლებისა და შეფასების“ მიმართულებით ჩატარებული გადამზადებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასწავლო პროცესში ჩართული პროფესიული მასწავლებლების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებში, რომლებიც მოიცავს დარგში მიმდინარე ცვლილებებსა და სიახლეებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას- შეფასდა შესაბამისად.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსსც ეკვატორი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნული საჭიროება შესაძლოა წარმოიშვას სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვის შემთხვევაში.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა სსსც ეკვატორის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის №807 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 21-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაცია აქტიურად რეაგირებენ სტუდენტთა მოთხოვნებსა და სირთულეებზე, რაც სწავლების პროცესს მეტად პერსონალიზებულსა და სტუდენტზე ორიენტირებულს ხდის. ამასთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ აღნიშნული საჭიროება მიმდინარე ეტაპამდე პრაქტიკაში არ დამდგარა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - შეფასდა შესაბამისად.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სსიპ — „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან“ და შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს როგორც პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის, ისე „საზღვაო პრაქტიკის“ განხორციელებას პარტნიორ დაწესებულებებში.

ხელშეკრულებებით განსაზღვრულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები, სტუდენტთა გამტარუნარიანობა, მხარეთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებები ფორმდება 6 წლის ვადით.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტებზე გასვლა, რომლის დროსაც ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ პარტნიორი დაწესებულებები უზრუნველყოფენ პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელ განხორციელებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ოქტომბრის №24 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრი ეკვატორი“-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის გაცნობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო დოკუმენტი განთავსებულია აუდიტორიაში თვალსაჩინო ადგილზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი - მოტორისტი" სასწავლო გეგმა;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის №807 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 08 ოქტომბრის N24 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შპს ''საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში" განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი".

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის №09 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმი“. აღნიშნულ დოკუმენტში, მუხლი 3 – „შეფასების ინსტრუმენტები“, განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს.

მოცემული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი შეფასება იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. კერძოდ:

1. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).

2. მოდულის განმახორციელებლი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან.

3. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია მოდულის შედეგებთან და კრიტერიუმებთან უნდა დასტურდებოდეს პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დარგის სპეციალისტის ხელისმოწერით და შეთანხმებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

4. პროგრამის მოდულებით მისაღწევი შედეგების შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შეფასდა შესაბამისად.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის №09 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმი“. აღნიშნულ დოკუმენტში მუხლი 2 – „ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები“ განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების პროცესს, მასში ჩართულ პასუხისმგებელ პირებსა და ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირების წესს.

ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით:

1. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
2. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
3. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებულია და დანერგილია შესაბამისი ვერიფიკაციის ფორმები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის №09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებები და სტუდენტთა პორტფოლიოები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი უწყისები – მუდმივად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 20 დეკემბრის №04/ა ბრძანებით დამტკიცებული „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ნდ №2-03-01ქ), რომლის მუხლი 17 – „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების მიწოდებისა და მათზე შემდგომი რეაგირების წესს. კერძოდ, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტები ინფორმირდებიან ინდივიდუალური წესით, ხოლო კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება განსაზღვრული ფორმისა და დადგენილი ვადების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ კონსულტირების სერვისებზე წვდომა სხვადასხვა ფორმით, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერთან, როგორც ფორმალური სასწავლო პროცესის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური საქმიანობის გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში განხორციელდა ინტერვიურები პროგრამების განმახორციელებლებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომი დაგეგმვისა და განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის №09 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმი“
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 20 დეკემბრის №04/ა ბრძანებით დამტკიცებული „შპს „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ვერიფიკაციის ფორმები;
- ინტერვიურება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

29.01.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: